ოქმი:**ო31. 3124179001**
თარიღი:**27/06/2024**

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის**
**ოქმი N8**

ქ. ლანჩხუთი

25. 06. 2024 წელი

**საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები გიორგი ჩახვაძე და ვერიკო კვირკველია, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე.

**მოწვეული სტუმრები:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი, მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის, ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსი მაია აფხაზავა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა ორი საკითხი და მიმართა საკრებულოს წევრებს, რომ აღნიშნული საკითხები დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.
**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი.**

**მომხრე საკრებულოს 19 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.**

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი მაია აფხაზავა/

2. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N 34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი მაია აფხაზავა/

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

4. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი.**

**მომხრე საკრებულოს 19 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.**

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ სხდომაზე დასასწრებად ჩაწერილია მოქალაქე სვეტლანა სარიშვილი და მას სიტყვით გამოსვლის საშუალება მიეცემა სხვადასხვა საკითხების განხილვის დროს.

**დღის წესრიგის პირველი საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის, ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსმა **მაია აფხაზავამ.** მან განმარტა, რომ მუნიციპალიტეტმა შეიძინა 5 ერთეული სამგზავრო ავტობუსი, რომლებიც იმოძრავებს კონკრეტულ მარშრუტებზე. დადგენილების პრეამბულაში მითითებული ნორმატიული აქტების შესაბამისად, აუცილებელია საკრებულომ განსაზღვროს სამგზავრო ტარიფები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შემუშავდა დადგენილების პროექტი, რომლის მიხედვითაც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე სამგზავრო ტარიფები განისაზღვრა შემდეგნაირად:

1. ლანჩხუთი-გრიგოლეთი-წყალწმინდა -2 ლარი;

2. ლანჩხუთი-ჯაპანა 1 ლარი;

3. ლანჩხუთი-ეწერი 1 ლარი;

4. ლანჩხუთი-აცანა-მამათი 2 ლარი;

5. ლანჩხუთი-ჩოჩხათი-გულიანი 2 ლარი.

მგზავრობისას შეღავათებით ისარგებლებენ 17 წლამდე ასაკის სკოლის მოსწავლეები, რომელთაც დაუმზადდებათ და გადაეცემათ პლასტიკური ბარათები. აღნიშნული პროექტის ორგანიზებას და ზედამხედველობას გააკეთებს ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი. კერძოდ, ეს ეხება ტრანსპორტის მოძრაობას, შემოსული თანხების განაწილებას, რის შესახებაც ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე ვალდებულია წელიწადში ერთხელ წარადგინოს ანგარიში.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი.**
**მომხრე საკრებულოს 19 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.**
**მიღებულ იქნა დადგენილება N9(25.06.2024).**

**დღის წესრიგის მეორე საკითხი:** ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N 34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის, ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსმა **მაია აფხაზავამ.** მან განმარტა, რომ ზემოაღნიშნული დადგენილების ცვლილების პროექტის მომზადება განპირობებულია ,,სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (N2587-XIმს-Xმპ; 09.02.2023) საქართველოს კანონის საფუძველზე, რომლის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტების საკრებულოებს 2024 წლის 1 ივნისამდე დაევალათ სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ობიექტისა და მოსაკრებლის განაკვეთების ამ კანონთან შესაბამისობა. აქედან გამომდინარე, მოსაკრებლის განაკვეთების კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N 34 დადგენილებაში ცვლილების განხორციელება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია საკრებულომ განიხილოს ნორმატიული აქტის ცვლილების პროექტი, ვინაიდან დადგენილების მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტიც. პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი.**
**მომხრე საკრებულოს 19 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.**
**მიღებულ იქნა განკარგულება N33(25.01.2024).**

**დღის წესრიგის მესამე საკითხი:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, მიმდინარე წელს, წერილობით მომართა ა(ა)იპ „ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ (ს/ნ 233730763) მენეჯერმა ქალბატონმა ირმა კეშელავამ, რომელმაც თავისი წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩა N126-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მე-3 სართულზე მდებარე 1) 27.06.51.005.01.214;

2) 27.06.51.005.01.215; 3) 27.06.51.005.01.216; 4)27.06.51.005.01.206; 5) 27.06.51.005.01.207 და 6) 27.06.51.005.01.208 საკადასტრო კოდზე არსებული უძრავი ქონება) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით გადაცემა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ განიხილოთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემის საკითხი და მოგვცეთ თანხმობა. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების და ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი.**
**მომხრე საკრებულოს 19 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.**
**მიღებულ იქნა განკარგულება N34(25.01.2024).**

**სხვადასხვა საკითხები:**

მოქალაქე **სვეტლანა სარიშვილმა** მადლობა გადაუხადა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს ალექსანდრე სარიშვილს გაწეული დახმარებისთვის, ისაუბრა ზოგად და პირად სოციალურ პრობლემებზე, ხოლო დასასრულს, ადგილობრივი ხელისუფლებიდან კვლავ ითხოვა დახმარება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება არაერთხელ იმყოფებოდა ქალბატონ სვეტლანა სარიშვილის ოჯახში სხვადასხვა პრობლემების გამო, ყოველ ჯერზე გაუწიეს დახმარება და კვლავაც მზად არიან დაეხმარონ მას შესაძლებლობის ფარგლებში.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ემზარ თევდორაძე** დაინტერესდა ამბულატორიების რეაბილიტაცია-მშენებლობის საკითხით.

საკრებულოს წევრმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** გააჟღერა სოფელ გრიგოლეთის მოსახლეობის თხოვნა იმის თაობაზე, რომ მუნიციპალური ტრანსპორტის ბოლო გაჩერება, საფეხბურთო კლუბ გურიას საწვრთნელი ბაზის ნაცვლად იყოს ფოთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვართან. ის ასევე დაინტერესდა, თუ როდის მოხდება სუფსაში რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება.

საკრებულოს წევრმა **ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა, რომ ლესის საჯარო სკოლა სარგებლობს ტექნიკური წყლით და არ აქვთ სასმელი წყალი. მათ სურთ სკოლის ეზოში ჭაბურღილის გაკეთება, რის გამოც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობიდან ითხოვენ ფინანსურ დახმარებას. ის ასევე დაინტერესდა ჯურუყვეთის საჯარო სკოლის მშენებლობის საკითხით.
საკრებულოს წევრმა **კახა თედორაძემ** აღნიშნა, რომ წყალწმინდის ადმინისტრაციულ ერთეულში საყანე ფართობებთან მისასვლელი გზა და ხიდი ამორტიზებულია და მოსახლეობა ითხოვს დახმარებას.
საკრებულოს წევრმა **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ ძალიან მომრავლებულია მაწანწალა ძაღლები. ის დაინტერესდა ვინ არის ამ ყველაფერზე პასუხისმგებელი და როგორ მოგვარდება ეს პრობლემა.
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** დასმულ კითხვებთან დაკავშირებით, გააკეთა შემდეგი სახის განმარტებები:
-მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა ამბულატორია იქნება რეაბილიტირებული, ხოლო რომელიც არ ექვემდებარება რეაბილიტაციას, მის ნაცვლად აშენდება ახალი.
-ხუთ ივნისს მუნიციპალური ტრანსპორტის ექსპლუატაციაში გაშვებიდან გავა ერთი თვე. ეს არის საცდელი პერიოდი და ამ ხნის მანძილზე რაც შენიშვნები და პრობლემები იქნება, ყველა განიხილება და მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილებები.
-ლესის საჯარო სკოლის ეზოში ჭაბურღილის გაკეთების საკითხზე თავდაპირველად უნდა მიმართონ ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრს, რომელიც ინფორმაციას მიაწოდებს
განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, სადაც იმსჯელებენ ამ

პრობლემის გადაწყვეტის გზებზე, ხოლო შემდგომ, საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მხრიდანაც მოხდება დახმარება.
-ჯურუყვეთის საჯარო სკოლის მშენებლობასთან დაკავშირებით გამოცხადებულია ტენდერი.
-წყალწმინდის ადმინისტრაციულ ერთეულში, საყანე ფართობებთან მისასვლელ გზაზე გასაკეთებელია ფართომასშტაბიანი ხიდი, რომლის გაკეთებაც ადგილობრივი ძალებით ვერ ხერხდება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასაკეთებელია სულ რამდენიმე ასეთი ძვირადღირებული ხიდი, ამიტომ გამოცხადდება ტენდერი და პრობლემა მოგვარდება.
-მაწანწალა ძაღლების პრობლემა ადგილობრივ დონეზე ვერ გადაწყდება, რადგან დაკავშირებულია სოლიდურ თანხებთან და საკმაოდ მასშტაბურია, ამიტომ ეს უნდა მოგვარდეს სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან.

**ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.**

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა
დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

**25 ივნისი 2024 წელი**
**12:00 საათი**

| № | სახელი, გვარი | გამოცხადების დრო | ხელმოწერა |
|---|---|---|---|
| 1 | ბესიკ ტაბიძე | 11 55. | |
| 2 | ემზარ თევდორაძე | 12 00 | |
| 3 | ვერიკო კვირკველია | 11.58 | |
| 4 | გიორგი ჩახვაძე | 11 55 | |
| 5 | გიორგი ხელაძე | 11 50 | |
| 6 | ალექსანდრე მახათაძე | ეკმებოლა | |
| 7 | ზაზა წულაძე | 11 45. | |
| 8 | კარლო კვიტაიშვილი | 11 55 | |
| 9 | გიორგი იმნაიშვილი | 11 55 | |
| 10 | ია მოქია | 11:55 | |
| 11 | კახაბერ ასკურავა | | |
| 12 | მაკა მშვიდობაძე | ეკმებოლა | |
| 13 | ვლადიმერ ნანაძე | 11 50 | |
| 14 | კარლო წილოსანი | ეკმებოლა | |
| 15 | ლოლიტა ურუშაძე | 11 55 | |
| 16 | ნინო მშვიდობაძე | 11.06 | |
| 17 | გოგი მორჩილაძე | 11 35 | |
| 18 | სპარტაკ კვაჭაძე | 11—53 | |
| 19 | გიორგი გოგუაძე | | |
| 20 | გოჩა ჯანაშია | | |
| 21 | ელისო ჭიჭინაძე | 11 50 | |
| 22 | რევაზ კვერენჩხილაძე | 11 45 | |
| 23 | კახა თედორაძე | 11 55. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| 24 | დარეჯან ბურჭულაძე | 11 45 | |
| 25 | ირმა მგელაძე | | |
| 26 | გივი ცინცაძე | | |
| 27 | ჯუმბერ ბლაგიძე | 11 55 | |